

ანა მარტიაშვილი

Lille Catholic University, France

კავკასიის ბიზნესის სკოლა

„საფრანგეთში გამგზავრება ნამდვილად არ ყოფილა დაგეგმილი, ეს იყო სპონტანური აზრის გაელვება, რომელიც რამდენიმე თვეში რეალობად იქცა. აღუწერელია ბედნიერი და სასიამოვნო მომენტები: გავიცანი ბევრი ეროვნების ადამიანი, ვიმოგზაურე ევროპის ქვეყნებში და შევიძინე ახალი თვისებები და უნარები. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ის ფაქტი, რომ გაცვლით სტუდენტებს (სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს) იუმორიც კი, ის რაც ჩვენ ყველას გვაერთიანებს და გვაკავშირებს, განსხვავებული გვექნებოდა.

ერთადერთ დაბრკოლებას, რომელსაც გადავაწყდი იყო უცხო გარემოსთან შეგუება. ახალი ცხოვრების რიტმი და სწავლის სისტემა, მაგრამ ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველთვის მზად არის მხარდაჭერისა და დახმარებისთვის. ერაზმუს+ ის გაცვლითმა პროგრამამ მომცა საშუალება განვვითარებულიყავი როგორც პიროვნება, მქონოდა დაუვიწყარი თავგადასავლები და განცდები.”